

საგადასახადო & სამართლებრივი სიახლეები

2 სექტემბერი 2019წ.



@2019 PwC საქართველო. ყველა უფლება დაცულია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე

2019 წლის 28 ივნისის განხორციელებული ცვლილების მიხედვით:

საბაჟო კოდექსის ამოქმედების თანმდევი ცვლილებები

- 01/09/2019 წლიდან საქართველოს საბაჟო საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, საბაჟო გადასახდელების გადახდის ოდენობის განსაზღვრა და ადმინისტრირების ვადები საბაჟო კოდექსის რეგულირების საგანი ხდება. საბაჟო კოდექსის ამოქმედებიდან გამომდინარე, ბლანკეტური ცვლილებები შევიდა საგადასახადო კოდექსშიც.

ცვლილება სანქციის ცნებაში

- საბაჟო კოდექსის ამოქმედებამ ასევე განაპირობა ახალი ტერმინოლოგიის დამკვიდრება, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საგადასახადო კოდექსის შესაბამის დებულებებში: სანქციის ცნებაში ასევე მოიაზრება საბაჟო სანქცია, რომელიც მონაწილეობას იღებს ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის ჩათვლისა და დაბრუნების მარეგულირებელ ნორმებში. კერძოდ, გადასახადის გადამხდელს შეუძლია ჩაითვალოს/დაიბრუნოს სანქციის თანხა, რომელიც მათ შორის მოიცავს საბაჟო სანქციის ოდენობასაც. (ამოქმედდება 01/09/2019 წლიდან.)

ზედმეტად გადახდილი გადასახადის / სანქციის უკან დაბრუნება

- ცალკეულ შემთხვევებში, შემოსავლების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გადასახადის გადამხდელს გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის გარეშე დაუბრუნდეს გადასახადის ან/და სანქციის (მათ შორის, საბაჟო სანქციის) ზედმეტად გადახდილი თანხა. აღნიშნულ შემთხვევებს, წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. (ამოქმედდება 01/09/2019 წლიდან.)

საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის საფუძველი

- საგადასახადო ორგანოს მიერ პირისთვის საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის საფუძველს ასევე წარმოადგენს პირისათვის იმპორტის გადასახდელის დარიცხვის შესახებ ან/და საბაჟო სანქციის შეფარდების შესახებ საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილება ან საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი. (ამოქმედდება 01/09/2019 წლიდან.)

საერთაშორისო კომპანიის სპეციალური რეჟიმის შემოღება

- კოდექსით შემოღებულია საერთაშორისო კომპანიის სპეციალური სტატუსი, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სპეციალური შეღავათები.
- დღგ-ით დაბეგვრის მიზნისათვის საერთაშორისო კომპანიის მიერ არარეზიდენტისათვის მომსახურების გაწევის ადგილად არ მიიჩნევა საქართველო.
- საერთაშორისო კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.
- დაქირავებით მუშაობა:
 - დაქირავებულთათვის ხელფასის გაცემისას, საერთაშორისო კომპანიას არა აქვს საშემოსავლო გადასახადის გადახდის წყაროსთან დაბეგვრის ვალდებულება.
 - საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად უცხო ქვეყნის იმ მოქალაქის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ უცხო ქვეყნის რეზიდენტი არ არის და არის საქართველოს რეზიდენტი, თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან.
- მოგების გადასახადის მიზნებისთვის:
 - მოგების გადასახადის განაკვეთი 5%-ს შეადგენს.
 - ხარჯის საქართველოში გაწევის შემთხვევაში საერთაშორისო კომპანიას უფლება აქვს, შეამციროს გადასახდელი მოგების გადასახადი ამ ხარჯის თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით.
- საერთაშორისო კომპანია გათავისუფლებულია ქონების (გარდა მიწისა) გადასახადისაგან, თუ ეს ქონება მისი საქმიანობის განხორციელებისათვის არის გამიზნული ან გამოიყენება.
- საერთაშორისო კომპანიისათვის სტატუსის მინიჭება ხდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელიც ასევე განსაზღვრავს კომპანიისთვის ნებადართულ საქმიანობებს.
- კომპანია არ შეიძლება შეიქმნას თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში.

კოდექსით განისაზღვრა ფარმაცევტული საწარმოს ცნება

- კოდექსს დაემატა ფარმაცევტული საწარმოს განმსაზღვრელი ნორმა, რომლის თანახმადაც, იგი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოში აწარმოებს ფარმაცევტულ პროდუქციას და ახორციელებს მის მიწოდებას.
- ფარმაცევტული საწარმოსთვის სტატუსის მინიჭების, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესი მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება.
- ფარმაცევტული საწარმოს მიერ მისივე წარმოებული ფარმაცევტული პროდუქციის მიწოდება ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია დღგ-ისგან.

წინასწარი გადაწყვეტილება სასაქონლო კოდის ან საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრაზე

- განხორციელებული ცვლილების შედეგად, საგადასახადო კოდექსი დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურის მიერ სასაქონლო კოდის ან

წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილების გამოცემას აღარ ითვალისწინებს.

დაქირავებულის მიერ დამქირავებლის ავტომობილის პირადი სარგებლობის გამოყენებისთვის სარგებლობის ოდენობა განისაზღვრა ფიქსირებული თანხებით

- განხორციელებული ცვლილებების თანახმად, დაქირავებულის მიერ დამქირავებლის ავტომობილის პირადი სარგებლობისთვის გამოყენება კვლავ ითვლება ხელფასად, თუმცა საშემოსავლო გადასახადი ფიქსირებულია ძრავის კატეგორიისა და მოცულობის მიხედვით. კერძოდ, საშემოსავლო გადასახადის ოდენობა შეადგენს:
 - 300 ლარს- 3500 სმ³-ზე მეტი ძრავის მოცულობისთვის;
 - 200 ლარს - 2500 სმ³-- 3500 სმ³ ძრავის მოცულობისთვის;
 - 100 ლარს - 2500 სმ³-ზე ნაკლები ძრავის მოცულობისთვის;
 - 60 ლარს- ჰიბრიდული ავტომობილის შემთხვევაში ნებისმიერი ძრავის მოცულობით. (ამოქმედდება 01/09/2019 წლიდან)
- ელექტროძრავიანი ავტომობილის პირადი სარგებლობისთვის გამოყენება საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება. (ამოქმედდება 01/09/2019 წლიდან)
- ქონების გადასახადის მიზნებისთვის, დაქირავებულის მიერ დამქირავებლის ავტომობილის პირადი სარგებლობისთვის გამოყენებით მიღებული სარგებელი შემოსავლებში არ შეიტანება. (ამოქმედდება 01/09/2019 წლიდან)

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის განსაზღვრა დღგ-ის გარეშე

- მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტებში გათვალისწინებული გადახდების/განაცემების არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასი დამატებული ღირებულების გადასახადს მოიცავს, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება საბაზრო ფასით, დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

იურიდიულ პირში წილის (აქციების) სანაცვლოდ აქტივების შეტანის მარეგულირებელი ნორმა დაზუსტდა

- ცვლილებით ფიზიკური პირის მიერ იურიდიული პირისთვის (მათ შორის იმ იურიდიულ პირთათვის, რომლებიც ესტონური მოდელით იბეგრებიან) მასში 50 პროცენტის ან მეტი წილის (აქციების) სანაცვლოდ აქტივების გადაცემა (დავალიანებით ან მის გარეშე) არ ჩაითვლება აქტივების მიწოდებად.

ტრანზიტისთვის განკუთვნილი საქონლის ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლება

- ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან თავისუფლდება ტრანზიტისთვის განკუთვნილი საქონლის გადაზიდვაც და ამ გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა.
- აღნიშნულ დანაწესს მიენიჭა უკუქმედითი ძალა და იგი ვრცელდება 2011 წლის 1-ლი იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

დღგ-ისგან გათავისუფლება

ცვლილებები დღგ-ის ჩათვლასთან დაკავშირებით

- ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან თავისუფლდება ელექტრონული წიგნის მიწოდება ან/და იმპორტი.

- დღგ-ის ჩათვლა არ ხორციელდება იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, რომლებიც გადასახადის გადამხდელის (მყიდველის/ჩათვლის მიმღების) მიერ ასახული არ არის შესაბამის ვადაში წარმოდგენილ შემდეგ დეკლარაციაში:
 - მატერიალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, დასაბეგრი ოპერაციის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არაუგვიანეს მომდევნო 3 საანგარიშო პერიოდის მიხედვით ან არაუგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის კალენდარული წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით, დადგენილ ვადაში წარმოდგენილ დღგ-ის დეკლარაციაში (მათ შორის, დაზუსტებული დეკლარაციის წარმოდგენით);
 - ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, დასაბეგრი ოპერაციის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არაუგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის კალენდარული წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოდგენილ დღგ-ის დეკლარაციაში ან არაუგვიანეს 3 კალენდარული წლის განმავლობაში, ამავე პერიოდის დაზუსტებულ დეკლარაციაში.
- ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება ძირითად საშუალებებზე.

დღგ-ის ჩათვლის შეზღუდვა საბაჟო დეკლარაციებით

- დღგ-ის ჩათვლა ასევე არ ხორციელდება i) საბაჟო დეკლარაციით, ii) სსიპ-ის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტით, iii) საქონლის შემენის დამადასტურებელი დოკუმენტით, (სსკ-ის 176¹ მუხლით - „ცალკეულ შემთხვევებში დღგ-ით დაბეგვრა“ გათვალისწინებულ შემთხვევებში) რომლებიც გადასახადის გადამხდელის (მყიდველის/ჩათვლის მიმღების) მიერ ასახული არ არის დასაბეგრი ოპერაციის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არაუგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის კალენდარული წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოდგენილ დღგ-ის დეკლარაციაში (მათ შორის, იმავე ვადაში დაზუსტებული დეკლარაციის წარმოდგენით).

გადამხდელს შეუძლია სრულად დაიბრუნოს მსუბუქ ავტომობილზე გადახდილი იმპორტის გადასახადი

- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევიდან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება 90 კალენდარული დღის განმავლობაში გაფორმდება ექსპორტის პროცედურაში და დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, იმპორტიორი უფლებამოსილია დადგენილი წესის შესაბამისად დაიბრუნოს ამ სატრანსპორტო საშუალებაზე გადახდილი იმპორტის გადასახადი 100 პროცენტის ოდენობით. (ამოქმედდება 01/09/2019 წლიდან).

ცვლილებები ცრუმაგიერ მფლობელობასთან დაკავშირებით

- ცვლილების თანახმად მოდიფიცირება განიცადა ცრუმაგიერი მფლობელობის მარეგულირებელმა ნორმამ და იგი ჩამოყალიბდა, როგორც გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერი პირი.
- პირი გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად მიიჩნევა, თუ იგი გამოიყენება როგორც არსებული, ისე მოსალოდნელი საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით.
- პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფლის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე.
- პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარებასთან დაკავშირებით სამართალწარმოება მიმდინარეობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სპეციალურად დადგენილი წესით (თავი VII¹⁶).
- საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების შესახებ შუამდგომლობის სასამართლოსთვის წარდგენასთან ერთად ამ პირის ქონებაზე გაავრცელოს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების ფარგლებში.
- საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები (საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა; მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა; ქონებაზე ყადაღის დადება; ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია; საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა; გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება).

თავდებისა და გარანტისათვის
პასუხისმგებლობის ფარგლების
შემცირება

სავალდებულო მარკირებას
დაქვემდებარებული არააქციური
საქონელი

გარკვეული საგადასახადო
სამართალდარღვევებისათვის
სანქციათა შემსუბუქება

- თავდებისა და გარანტის პასუხისმგებლობა მხოლოდ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანებით შემოიფარგლება და სანქციის გადახდის ვალდებულება მათ აღარ ეკისრებათ. (ამოქმედდება 01/09/2019)
- სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციური საქონლის მარკირების გარეშე მიწოდებისას ან ტრანსპორტირებისას ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება საბაზრო ღირებულებით, ნაცვლად საბაჟო ღირებულებისა.
- საგადასახადო სანქციის მარეგულირებელ ნორმას დაემატა დებულება, რომლის თანახმადაც საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის, საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და აღურიცხველობისთვის, ასევე იმ სამართალდარღვევის

ჩადენისთვის, რომლისთვისაც საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა, მაგრამ არ არის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა, ფულადი ჯარიმის ნაცვლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გაფრთხილება, თუ აღნიშნული ქმედებები განმეორებით არ არის ჩადენილი. (ამოქმედდება 01/09/2019)

- ზემოაღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდა 04/07/2019 წლიდან (გარდა იმ ცვლილებებისა, რომელთაც მითითებული აქვთ ძალაში შესვლის სპეციალური თარიღები)

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14 აგვისტო 2019

ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ინსტრუქციას დაემატა სავარაუდო დარიცხვის ცნება და მისი მარეგულირებელი ნორმები

2019 წლის 16 ივლისს განხორციელებული ცვლილების მიხედვით:

- საგადასახადო მოთხოვნის მარეგულირებელ ნორმას დაემატა დანაწესი, რომლის თანახმადაც სავარაუდო დარიცხვის შემთხვევაში პირს საგადასახადო მოთხოვნა არ წარედგინება.
- განისაზღვრა სავარაუდო დარიცხვის შინაარსი, რომელმაც ჩაანაცვლა გადასახადის დარიცხვის მაიდენტიფიცირებელი ნორმა.
- ნორმის თანახმად, სავარაუდო დარიცხვა გულისხმობს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილებას, საგადასახადო შემოწმების გარეშე განახორციელოს სავარაუდო დარიცხვა თავის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ:
 - გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე განხორციელდა გადასახადის თანხის უსაფუძვლო შემცირება;
 - პირს წარმოეშვა საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვალდებულება და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ წარადგინა საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (ავტომატური დეკლარირება).
- ავტომატური დეკლარირების შემთხვევაში მიიჩნევა, რომ პირმა წარადგინა საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება, რომლის საფუძველზეც გადასახდელად დასარიცხი გადასახადის/მოსაკრებლის თანხა საგადასახადო ორგანოს მიერ განხორციელებული სავარაუდო დარიცხვის თანხის ტოლია.
- სავარაუდო დარიცხვა შეიძლება შეიცვალოს შესწორებითი დარიცხვით:
 - საგადასახადო შემოწმების შედეგების საფუძველზე მიღებული საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით;
 - გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე გადასახადის თანხის უსაფუძვლო შემცირების შემთხვევაში- საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილებით;

**ცვლილებები დღგ-ის ანგარიშ-
ფაქტურების გამოწერასთან/
დადასტურებასთან/ გაცემასთან
დაკავშირებით**

- ავტომატური დეკლარირების განუხორციელებლობის შემთხვევაში - პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის გზით. ასეთ შემთხვევაში დეკლარაცია/გაანგარიშება ჩაითვლება დაგვიანებით წარდგენილად.
- გადასახადის გადამხდელს სავარაუდო დარიცხვის შესახებ შეტყობინება ეგზავნება/ წარედგინება წერილობით ან ელექტრონულად.
- გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია სავარაუდო დარიცხვა გაასაჩივროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დარიცხვა გამოწვეულია გადამხდელის პირადი ბარათის აღრიცხვის ბარათზე გადასახადის თანხის უსაფუძვლო შემცირებით.
- საგადასახო მოთხოვნის ფორმის, მოთხოვნის გადამხდელისთვის გაგზავნის ვადის და კორექტირებული საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის მარეგულირებელ ქვეპუნქტებს ცვლილება არ შეხება.
- ცვლილება შეეხო საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (საფ) გამოწერასაც. კერძოდ, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია დღგ-ის გადამხდელს შეუჩეროს საფ-ების გამოწერა/დადასტურება ან/და მათი მატერიალური ფორმით გაცემა:
 - უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების ნიშნების გამოვლენისას. ამ შემთხვევაში, საქმის მასალები გადაიგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოში;
 - შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს მოთხოვნისას (მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში).
- ზემოაღნიშნულ შემთხვევაში გადამხდელი ანგარიშ-ფაქტურის გაუცემლობისთვის არ დაჯარიმდება.
- საფ-ების გამოწერის/დადასტურების/გაცემის შეზღუდვა უქმდება შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს მოთხოვნით (მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში) ან თუ გამოძიებით არ დადასტურდა უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების ფაქტი.
- საფ-ების მიმართ განხორციელებული ზემოაღნიშნული დათქმები ასევე ვრცელდება საგადასახადო დოკუმენტზეც.

**ცვლილება ზედნადების
გამოყენებასთან დაკავშირებით**

2019 წლის 30 ივლისს განხორციელებული ცვლილების მიხედვით:

- „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად, სეპარირებულად შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენის (ქაღალდის, მიწის, პლასტიკის და მეტალის (ალუმინის ქილები)) ტრანსპორტირებისას ზედნადების გამოყენება სავალდებულო არ არის.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14 აგვისტო 2019

ფინანსთა მინისტრის N994 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

2019 წლის 16 ივლისს განხორციელებული ცვლილების მიხედვით:

*ბრძანების ფარგლებში
დარეგულირდა საგადასახადო
ორგანოს მიერ
კონტრაგენტი
პროდუქციის გამოვლენის
შემთხვევები*

- ბრძანებას დაემატა ნორმა, რომელმაც განცალკევებულად დაარეგულირა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სპეციალური სახე- ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის უკანონო გამოყენების გამოვლენა.
- აღნიშნული სამართალდარღვევის გამოვლენისა და აღკვეთის მოთხოვნით განსაკუთრებული უფლების მფლობელს ან მისი წარმომადგენელს შეუძლიათ განცხადებით მიმართონ საგადასახადო ორგანოს.
- განისაზღვრა განცხადების მახასიათებლები და თანდართული დოკუმენტაციის ჩამონათვალი, საქონლის ამოღების/ დალუქვის/ შენახვის/ ნიშანდების პროცედურა, აქტის გამოცემის საფუძვლები პროცედურა და ვადები.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14 აგვისტო 2019



ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ ცვლილებებს თქვენს საქმიანობაზე.

სერგი კობახიძე

პარტნიორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა

E-mail: sergi.kobakhidze@pwc.com

ტელ: + 995 32 250 80 50

ვანო გოგელია

იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი

E-mail: vano.gogelia@pwc.com

ტელ: + 995 32 250 80 50

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ოფისები მსოფლიოს მასშტაბით განთავსებულია 158 ქვეყანაში და მასში დასაქმებულია 250,000 ადამიანი.

PwC საქართველოს საგადასახადო მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებებს, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, საგადასახადო დავებში წარმომადგენლობას, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებთან მიმართებით კონსულტაციებს, საგადასახადო სტრუქტურირებას და სხვა.

PwC საქართველო იურიდიული მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საკორპორაციო, სახელშეკრულებო საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივ დახმარებას, კომპანიათა რეორგანიზაციას, კონკურენციის სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, სასამართლოში წარმომადგენლობას, სამშენებლო, შრომის და სხვა სამართლებრივ მომსახურებებს. ჩვენ წარმოვადგენთ ყველაზე ფართო გეოგრაფიული დაფარვის მქონე იურიდიული მომსახურების ქსელს მსოფლიოში, 3,200 იურისტით 85-ზე მეტ ქვეყანაში.



ეს მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შემავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაყრდნობა ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2019 PwC. ყველა უფლება დაცულია. "PwC" ნიშნავს შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს როგორც წევრ ფირმას, და ზოგ შემთხვევაში PwC-ის ქსელს, რომელშიც შემავალი თითოეული ფირმა არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure